

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 75

27 დეკემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომა ჩატარდა განათლებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სახელდებისა და სიმბოლიკის და ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიებთან ერთად ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

კომისიის წევრები: ლევან არველაძე, ირაკლი ზარქუა, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

ქონების მართვის სააგენტო - გიორგი გვენეტაძე; თამარ ურუშაძე

მუნიციპალური ინსპექცია - ლევან ჯღარკავა.

სსიპ ბაღების სააგენტო - მაკა ნასრაშვილი, ირაკლი თურმანიძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტი. (№12-0319344108-03)
2. "ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (№12-03193580-03)
3. "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი "საქსოფმანქანა"), IV კვარტალის კორპუს 11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (№12-03193580-03)
4. "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა, კოტეჯი N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.005.027.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე." (№12-03195380-03)
5. ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 86 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.10.13.033.934) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისათვის“ (ს/კ 04909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

6. ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა #20-ის მიმდებარედ 81 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: 01.15.04.007.031) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის“ (ს/ნ 402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. (№12-031935834-03)
 7. ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი #4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.09.005.162) შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 404535446) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“
 8. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის #E-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე. (№12-03193592-03)
 9. ქ. თბილისში, ტიცვან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზება. (№16-031935339-03)
 10. ქ. თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №72.16.28.180) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031930279-03)
 11. „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (№12-031936057-03)
- დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხი წარმოადგინა გაიოზ თალაკვაძემ.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 1 021 400,6 ათას ლარით. ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 980 969,9 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 687 009,5 ათასი ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 482 009,5 ათას ლარს. საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 170 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი; -მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები 90 963,0 ათასი ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 503,0 ათასი ლარი, მათ შორის ევროკავშირის გრანტი - 493,4 ათასი ლარი ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის და როკფელერის ფონდის გრანტი - 9,6 ათასი ლარი 100 მედეგი ქალაქის ინიციატივის პროექტისათვის; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; სპეციალური ტრანსფერი - 90 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 202 997,4 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან - 8 600,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 70 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) 51 000,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები - 25 397,4 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით შეადგენს 236 411,5 ათას ლარს. მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 276 411,5 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 40 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება (430,7) ათასი ლარი; ფინანსური აქტივების კლება - 430,7 ათასი ლარი. 2020 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (17 823,6) ათასი ლარს, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი

საღდო 2020 წლისათვის განისაზღვრა 17 392.9 ათას ლარით. თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 021 400.6 ათას ლარს. თავდაპირველად წარმოდგენილ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან შედარებით, წარმოდგენილ პროექტში მეტნაკლებად გათვალისწინებულია კომისიების რეკომენდაციები. ფინანსდება შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- აღდგენა 121 731.1 ათასი ლარი; საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 91 872.6 ათასი ლარი. მათ შორის: რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 43 772.6 ათასი ლარი. ტრანსპორტის განვითარების პროგრამა - 29 858,5 ათასი ლარი, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 17 258,5 ათასი ლარი და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 12 600,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 269 356.9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში - 95 943,5 ათასი ლარი. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა ავარიული შენობების გამაგრება 15 000,0 ათას ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავარაუდოდ 15 შენობის გამაგრება; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია 45 414,1 ათასი ლარი. პროგრამა გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 22 000,0 ათასი ლარი, რომლიც ფარგლებშიც გათვალისწინებულია ქ. თბილისის მასშტაბით გარე ქსელის განვითარება 2,0 მლნ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამისათვის კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 60 539,2 ათასი ლარი. მათ შორის, გლდანის რაიონში 8 369.9 თასი ლარი, ნაძალადევის რაიონში 5 708,1 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში 5 850.8 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 4 537,6 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 5 429,7 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 7 042,7 ათასი ლარი, ისნის რაიონში 5 448,2 ათასი ლარი, სამგორის რაიონში 8 120,7 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 4 918,7 ათასი ლარი და მთაწმინდის რაიონში 5 112,8 ათასი ლარი. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 111 348,1 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 43 056,1 ათასი ლარი. დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 62 000,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 6 292,0 ათასი ლარი. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 7 127,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება პროგრამა ბიზნესის სტიმულირება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 1561,5 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები 250,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში 116,1 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა 1060,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა 610,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 385,0 ათასი ლარი, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება 3 145.0 ათასი ლარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 38 296,3 ათასი ლარი, მათ შორის გლდანის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 259,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 567,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი.. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 151 695,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 16 722,0 ათასი ლარი. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 134 973,8 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები,

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში. პროგრამა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 810,6 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 291,8 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 600,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 600,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 618,8 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 200,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში - 1050,0 ათასი ლარი. განათლება - 168 811,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 144 668,9 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დღეის მდგომარეობით ფინანსდება 185 საბავშვო ბაღი. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 15 ბაღის დემონტაჟი და მშენებლობის დაწყება და გაგრძელება ავარიული ბაღის შენობების გამაგრება. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 41 835,6 ათასი ლარით. 2020 წელს გაგრძელდება მუნიციპალური თეატრების დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, მწრფეთვლელთა მხარდაჭერა, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები. პროგრამა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ფარგლებში მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა დიდ დიღომში და ვარკეთილში, ასევე ახალი მცირე მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის პროექტირება. ასევე საცურაო აუზის მშენებლობა ლილოში, სპორტული ცენტრი იმედის რეაბილიტაცია, რაგბის მოედნის მშენებლობა და სხვა. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 6 601,2 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა ცხოველთა მონიტორინგი - 3 658,0 ათასი ლარით და პროგრამა თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 2943,2 ათასი ლარით. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 104 597,1 ათასი ლარით. 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, მუნიციპალიური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა 3 336,3 ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) 15 809,0 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 528,5 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განსაზღვრულია 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის პროექტია განხილვა წარმართა კითხვა - პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები ქონდათ ოთარ გრიგოლიას, ირაკლი ზარქუას, დავით უთმელიძეს, ლევან არველაძეს, ლევან დარახველიძეს.

გაიოზ თალაკვაძემ მათ ამომწურავი პასუხი გასცა.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის“ საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მომხსენებელი-გიორგი გვენეტაძე

ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში, პირველ სართულზე მდებარე 32.44 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა, შავლეგი ბიძინაშვილს. მოქალაქე აღნიშნული ფართით სარგებლობს დიდი ხნის განმავლობაში.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი “საქსოფმანქანა“), IV კვარტალის კორპუს 11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი “საქსოფმანქანა“), IV კვარტალის კორპუს 11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონება, 77,41 კვ.მ ფართი პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე შოთა კიკნაძეს, რომელიც დიდი ხანია ცხოვრობს აღნიშნულ ფართში.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა, კოტეჯი N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.005.027.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა, კოტეჯი N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.005.027.01.501) მდებარე უძრავი ქონება 42,79კვ.მ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე კახაბერი ბერიშვილს (პ/ნ 01501121112). მოქალაქე ათეული წლებია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 86 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.10.13.033.934) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისათვის“ (ს/კ 04909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

შპს „თ და კ რესტორნებს“ (ს/ნ:204909180) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვმ მიწის ნაკვეთი 5 წლის ვადით, ღია კაფის მოწყობის მიზნით. კომპანიის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.10.13.033.024). წლიური საიჯარო ქირაა 20640 ლარი

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა #20-ის მიმდებარედ 81 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: 01.15.04.007.031) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის“ (ს/ნ 402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

შპს „კომ ილ ფოს“ (ს/ნ:№402087317) გადაეცემა, ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.007.031) 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ღია კაფის მოწყობის მიზნით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „კომ ილ ფოს“ (ს/ნ:№402087317) სარგებლობაშია თბილისში, ათონელის ქუჩა №20-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.005.01.519). წლიური საიჯარო ქირის ოდენობა, განისაზღვრა 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარით. იჯარის მოქმედების ვადა 2021 წლის 30 ოქტომბრამდე პერიოდი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი #4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.09.005.162) შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 404535446) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

შპს „ბოსტონ დეველოპმენტს“ (ს/ნ: 404535446) სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი #4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.18.09.005.162). აღნიშნული კომპანია მომავალ მესაკუთრედ არის რეგისტრირებული მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ: №01.18.09.005.021). საკითხთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილია

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 ივნისის AR1685863 (№4551495) გადაწყვეტილება. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 09.08.19წ. #005594219 ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 9 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2040 (ორი ათას ორმოცი) ლარით. იჯარის მოქმედების ვადაა 10 წელი, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2040 (ორი ათას ორმოცი) ლარის ოდენობით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის #E-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის NE-236-11-8619 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული შეზღუდვის - „სამშენებლო განვითარება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ შეთანხმებით“- გაუქმებას, რაც გამოწვეულია იმით, რომ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე (მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის ქუჩისა და ხევძმრის ქუჩების შემაერთებული გზის მიმდებარედ; საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.129) განხორციელდა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული წყლის მილის (D=1400 მმ-იანი გაუქმებული ქსელი) დემონტაჟი და ამჟამად აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ბალანსზე რიცხული წყალსადენწყალარინების ქსელები არ გაედინება. ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ("ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" წერილი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №19.1341.1672 განკარგულება) ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის NE-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ტიცვან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

ფიზიკურმა პირმა თენგიზ ჩუბინიძემ, განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება

N74აში მდებარე, 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.15.003.029) მონაცვლეობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, აღნიშნულ ნაკვეთზე მოქმედებდა ზონა - საცხოვრებელი ზონა 2, რომელსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით მიენიჭა სატყეო ზონა. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული ზონების ცვლილების შედეგად, გაუარესდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, აღნიშნული ნაკვეთის სანაცვლოდ, მოქალაქემ ითხოვა ტიციან ტაბიძის ქუჩაზე, თავის საკუთრებაში არსებული №01.14.11.057.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ საცხოვრებელ ზონა 2- ში მდებარე, უძრავი ქონების მომიჯნავედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/ კ: 01.14.11.057.100; ზონა - საცხოვრებელი ზონა 2) და თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.02.005.027) გადაცემა. ამასთან, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თუ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება აღემატება მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, სხვაობას გადაიხდის დამატებით, ხოლო მუნიციპალური ნაკვეთების საერთო ღირებულებასთან შედარებით მისი მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.15.003.029) უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების გამოვლენის შემთხვევაში, სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების შეკითხვაზე გიორგი გვენეტაძემ განმარტა, რომ ზემო ვეძისის დასახლება N74ა-ში მდებარე 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე მოქმედი ფუნქციური ზონის დაბრუნების საკითხის განხილვა ეთხოვა მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნული საკითხის შესახებ პოზიციის წარმოდგენა სთხოვა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს. მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში პასუხად წარდგენილი წერილით, მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილად არ მიიჩნია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა.

გიორგი გვენეტაძემ ასევე განმარტა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასდა მიწის ნაკვეთების ღირებულება. №01.14.02.005.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მდებარე - ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ) საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 318,552 ლარის ოდენობით. ხოლო №01.14.11.057.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მდებარე - ქ. თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 46 557 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სატყეო ზონაში მდებარე N01.14.15.003.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, ექსპერტიზის დასკვნით, მიწის ნაკვეთი შეფასდა მიწათსარგებლობის ახალ გენერალურ გეგმამდე მოქმედი, 2014-2018 წლებში დადგენილი ფუნქციური ზონით (საცხოვრებელი ზონა 2) და მისი საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 368,341 ლარის ოდენობით. შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/ რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, თენგიზ ჩუბინიძის (პ/ნ: 01024008573) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება N74ა-ში მდებარე 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.15.003.029) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

მომხრე-5.წინააღმდეგი- ვახტანგ შაქარიშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №72.16.28.180) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

გრიგოლ ალანამ, მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, მისი მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული 739 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.14.15.003.070) მონაცვლეობასთან დაკავშირებით. ახალი გენგეგმით მიწის ნაკვეთს მიენიჭა სატყეო ზონა, რამაც შეუძლებელი გახდა მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება. აღნიშნული ნაკვეთის სანაცვლოდ, განმცხადებელმა ითხოვა ქ. თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N72.16.28.180) გადაცემა.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდათ ოთარ გრიგოლიას, დავით უთმელიძეს, ლევან არველაძეს, ლევან დარახველიძეს, ირაკლი ზარქუას.

კომისიის წევრების შეკითხვაზე, გიორგი გვენეტაძემ განმარტა, რომ ახალი ფუნქციური ზონის მინიჭებამდე არქიტექტურის სამსახურმა არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით სამშენებლო გამოყენების პირობების დადგენის შესახებ და თბილისის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის N19.1086.1395 განკარგულებით უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური (სხვაობა) განისაზღვრა 65 000 ლარი.

მომხრე-5. ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი- გიორგი გვენეტაძე

ი.მ.ა „აკურის N27,29,33 აღმასიანის N34,40,42,46“-ის (ს/ნ: 205299737) თავმჯდომარემ, განცხადებებით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ამხანაგობის წინაშე არსებულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. საკითხი ეხება ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიძის ქ. N40-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის დაუსრულებელ მშენებლობას, რისი განხორციელებაც შეფერხდა გარკვეული მიზეზების გამო. მშენებლობის დასრულების მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილია წინადადება, რომლითაც მოთხოვნილია დაუმთავრებელი მშენებლობისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება: მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემა, განაშენიანების მაღალი ინტენსივობის შემცირების და რეკრეაციული სივრცის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საპროექტო ობიექტში (ს/კ: 01.10.13.035.053) საცხოვრებელი ფართის და მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირების სანაცვლოდ. კომისიის 05.08.19წ. N5 და 08.10.19წ. N8 ოქმების თანახმად, განმცხადებელმა კომისიას წარუდგინა სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (მათ შორის, სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის საპროექტო წინადადების ფინანსურ-ეკონომიკური გაანგარიშება, ინფორმაცია დაზარალებულების და იპოთეკარების რაოდენობის შესახებ, ასევე, ვალდებულებების შესახებ - ასახული თანხაში და გასაცემ ფართებში). კომისიამ

განიხილა წარმოდგენილი წინადადება და სამშენებლო ობიექტის პარამეტრების და მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია საპროექტო ობიექტის (ს/კ: 01.10.13.035.053) მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები. კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, კომისიამ დაინტერესებული პირისგან მოითხოვა დამატებით დოკუმენტაციის და ინფორმაციის წარდგენა, მათ შორის, დეტალური ინფორმაცია დაზარალებულთა შესახებ (მესაკუთრის, მომავალი მესაკუთრეების გასაცემი ფართების, გადახდილი და გადასახდელი თანხების მითითებით) და სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამხანაგობამ ი.მ.ა „აკურის N27,29,33 ალმასიანის N34,40,42,46“ განიხილა საკითხი და შესაძლებლად მიიჩნია, ალტერნატიული ტერიტორიის გადაცემის შემთხვევაში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით და კომუნალური დავალიანებების გარეშე, თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეს ტერიტორიიდან ცალკე საკადასტრო ერთეულად გამოყოფილი უძრავი ქონება: ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიდის ქ. N40-ში მდებარე 1265 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ: 01.10.13.035.054). და ითხოვა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა (ს/კ: 01.14.01.007.350). ამასთან, აღნიშნა, რომ უძრავ ქონებას დათმობს მხოლოდ იმ პირობით, რომ არ მოუწევს დამატებითი თანხის გადახდა, თუ შერჩეული ტერიტორიის ღირებულება აღემატება ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ღირებულებას. ასევე, არ ექნება პრეტენზია, თუ 01.10.13.035.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ღირებულება მეტი აღმოჩნდება გადასაცემი ტერიტორიის ღირებულებაზე. მათი განმარტებით სამშენებლო პროექტის (N01.10.13.035.053 კოდით რეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულზე) 13 სართულამდე შემცირებით (ნაცვლად 27 სართულისა) სამშენებლო მოცულობა შემცირდა საერთო ჯამში 16 172.2 კვ.მ-ით, საიდანაც საცხოვრებელი ფართის მოცულობაა 11 933.8 კვ.მ, რასაც თანხაში განსაზღვრავს დაახლოებით 9,546,400 (ცხრა მილიონ ხუთას ორმოცდაექვსი ათას ოთხასი) აშშ დოლარის ოდენობით. იგი აღნიშნავს, რომ საკითხის გადაწყვეტით განიტვირთება დასახლებული უბანი, გამოირიცხება ტერიტორიის შემდგომი გამოყენება სამშენებლო მიზნებისთვის, ხოლო ამხანაგობის ინტერესები დაკმაყოფილდება ალტერნატიულ ნაკვეთზე განვითარებული სამშენებლო პროექტის ფარგლებში. ზემოხსენებული მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მუნიციპალური ქონების საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულებას, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი თხოვნის დაკმაყოფილება და მოთხოვნილი ტერიტორიის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად ამხანაგობისთვის გადაცემა, ვინაიდან განაშენიანების ინტენსივობის შემცირების გარდა, წარმოდგენილი წინადადება შესაძლებლობას იძლევა თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემ ტერიტორიაზე მოეწყოს სარეკრეაციო ან საერთო სარგებლობის სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცე.

აზრი გამოთქვეს: ვახტანგ შაქარიშვილმა, ოთარ გრიგოლიამ, ირაკლი ზარქუამ, დავით უთმელიძემ.

კომისიაზე აღინიშნა, რომ დედაქალაქში და განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ არეალებში სარეკრეაციო და საზოგადოებრივი დანიშნულების ასეთი სივრცის მოწყობა ერთერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა ინტერესებიც.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დამსწრე წევრმა რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



ოთარ გრიგოლია